სენტ ტრუიდი	6	0	2	4	2:9	2
ოსტენდი	6	0	2	4	5:14	2

## II კლასი. VI ტური

დევილი — ვასლანდი 2:1; დაინგი — ვორტი 2:2; ეუპენი — ვიზეტი 3:0; ჰელსინგი — გენვი 1:4; აალსტი — სენტ ფილი 2:0; ვიგორი — პატრო 2:2; კორტრაიგი — ვარენგი 2:3; როსი — რუხელარე 2:2; ტუბიცი — ანტვერპენი 2:1

## პორტუგალი

**სუპერლიგა. III ტური**  
**მორეირასა 3:2 ნასიონალი**  
 1:0 ფილიპე (36), 2:0, 3:0 მანუელი (39, 55), 3:1 მარსელი (75), 3:2 კლოვირი (88)  
**ბაირა მარი 1:0 შილ ვინანტი**  
 1:0 კინგსლი (5)  
**პინაზილი 1:1 რიუ ავი**  
 0:1 ფრანკო (69), 1:1 ვესლი (78)  
**პელენინსი 2:1 ლიერია**  
 1:0 ანზო (6), 2:0 ლოურენსე (60), 2:1 კრპანი (66)  
**პორტო 2:2 ეშტორილი**  
 0:1 ნელი (13), 1:1 ლუის ფაბიანო (17), 1:2 პინეირუ (44), 2:2 პეპე (70)  
**პოპოვიტა 1:1 სანტუალი**  
 1:0 მარტელინი (15), 1:1 ფორტინი (54)  
**პაბლიკა — ბინაზი**  
 ნუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდი) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

**გაზა ხუციშვილი**


სენტუალი	3	2	1	0	7:2	7
ბელენსენსი	3	2	1	0	8:4	7
ბოავიშტა	3	2	1	0	3:1	7
ბენფიკა	2	2	0	0	5:2	6
გიმარაში	2	1	1	0	2:1	4
მორეირასა	3	1	1	1	3:4	4
ლიერია	2	1	0	1	5:4	3
რიუ ავი	3	0	3	0	4:4	3
მარიტიშუ	2	1	0	1	3:3	3
ნასიონალი	3	1	0	2	4:5	3
ბეირა მარი	3	1	0	2	4:5	3
სპორტინგი	2	1	0	1	3:4	3
პორტო	2	0	2	0	3:3	2
ბრაგა	2	0	2	0	3:3	2
ეშტორილი	3	0	2	1	4:6	2
ავადემიკა	2	0	1	1	3:4	1
პენაფიელი	3	0	1	2	2:8	1
ჟილ ვისენტე	3	0	0	3	2:5	0

**რეკლამა**  
**სარბიელ-ში**  
 Tel: 39 40 08, 93 16 08;  
 Fax: 94 33 80

# საქართველოს ყველაფერი დაბრუნდა: ყველაფერი უნდა მოიბრუნოს

შაბათს საქართველოს ნაკრებმა ლუქსემბურგში იოლად იმარჯვა, მაგრამ იმავე საღამოს მაკედონიამ ფინეთში გაიხარა და დრაჟენ ბრაიკოვიჩის გუნდის ბედი უკვე ცნობილია: „ხუთჯვაროსნებმა“ ჯგუფში დარჩენილი სამივე შეხვედრა უნდა მოიგონ, მათ შორის თბილისში მაკედონიასთან მინიმუმ 5 ქულით, რათა ჯგუფიდან გავიდნენ და A დივიზიონში ასანაცვლებლად გაავრძელონ ბრძოლა. თუმც არსებობს მის-

ხალი შანსი, ქართველები სკანდინავიაში ნაგების შემთხვევაშიც გავიდნენ ჯგუფიდან, მაგრამ ეს ძალიან არარეალურია.  
... ლუქსემბურგულ მატჩზე ბევრი არაფერი ითქმის. ბრაიკოვიჩილებმა ჯგუფის სახელმწიფოში 26 ქულით იმარჯვეს და მაკედონიაში დამარცხებულებმა ხასიათი ოდნავ გამოიკეთეს. ჩვენც გუშინ ხუთჯვაროსანთაგან ამ მატჩში საუკეთესოს, ვლადიმერ ბოისას შევხვდით...



ლუქსემბურგში ქართველებს ვოვა ბოისამ უყობა

— მეტოქეს აშკარად ვვლობდით, დიდი ძალისხმევა არ დაგვიჭირდა...

— კონკრეტულად რაში დაჯახნეთ ლუქსემბურგელები?

— უპირველესად სიმაღლეში. ლუქსემბურგელებს ერთი მაღალი მოთამაშე ყავთ, ამერიკელი ელვინ ჯონსი, რომელმაც სერიოზული პრობლემები შეგიქმნა ფარქვეშ.

— პრობლემები შეგიქმნათ თუ ყველა მეტოქე დაჯახნა ფარქვეშ? მის ანგარიშზე 25 ქულა და 22 მოხსნა დაგროვდა...

— ჯონსი მართლაც ძალიან კარგი მოთამაშეა. თუ სტატისტიკური მაჩვენებლებით ვიმსჯელებთ, მან ყველას გავაჯახა. ხუმრობა ხომ არ არის, „ფილადელფიაში“ უთამაშია. საკმაოდ გამოცდილი და ადლიანი კალათბურთელია. მაგრამ დანარჩენები იყვნენ სუსტები და, რაც ჩვენთვის მთავარია, დაბლები. ფიზიკურადაც ვერ იყვნენ სათანადოდ მომზადებულნი, ბოლო მეოთხედში ყველანიარად დაიჩაგრნენ.

— ბოლო მეოთხედამდე ხომ ვიძალიანდებოდნენ? პირველი ტაიმიც მხოლოდ 8 ქულით მოიგეთ, ბოლო მეოთხედის დაწყებამდე კი 9 ქულით იყავით წინ...

— თავიდან ცოტა გავვიძინელდა, მაგრამ არ გავგვირვებია. მაკედონიაში მარცხმა ძალიან დაგვწყვიტა გული და ცოტა ფსიქოლოგიურად ვიყავით გატეხილები.

— ჩვენებურთაგან საუკეთესო ბომბარდირიც და მომხსნელიც შენ იყავი...

— ჩემი ქულები ძირითადად პირველ ტაიმზე მოდის, როცა შედარებით თანაბარი ბრძოლა იყო. 20 ქულა დიდი არაფერი მიღწევია ჩემთვის, ადრე ამზე ვაცილებდი მეტიც ჩამივდია, მაგრამ 14 მოხსნა მართლაც ბევრია. ეს ალბათ ისევე მეტოქის ბრალია. დავინახე, რომ

ლუქსემბურგი 61:87 საქართველო  
18 სექტემბერი. ლუქსემბურგი

მსაჯები: ლუკა გარლინი (შვეიცარია), რონ დენისი (ბელგია)  
21:26 15:18 19:20 6:23

### ლუქსემბურგი

	წუთი	მოხსნა	ბასი	ჩაჭრა	დაფარება	ქულა
ბაი შმიტი	34	1	1	2	-	8
ჯილ ბეკერი	22	1	3	3	-	3
პრისტინან შარცი	30	6	2	-	1	7
შან-მარკ მილნიორი	29	4	1	-	-	10
ელვინ ჯონსი	40	22	-	2	2	25
ივან ბრაუნი	9	1	-	-	-	4
პიპერ ბომპერი	16	3	-	-	1	2
ერიკ ინიცი	10	-	-	-	-	2
პრისტინან ვულფი	10	-	-	2	1	-

### საქართველო

	წუთი	მოხსნა	ბასი	ჩაჭრა	დაფარება	ქულა
ვაიმონდ უილიამსი	40	5	9	6	1	15
მანუჩარ მარკოიშვილი	29	4	4	4	-	13
ნიკოლოზ ცაიტიშვილი	26	4	1	3	-	7
ვლადიმერ ბოისა	33	14	1	3	-	20
ზაზა ჯანაშია	21	10	1	2	1	16
გიორგი ცინცაძე	22	2	1	1	-	8
ლაშა გაბყრალიძე	11	1	1	2	-	5
შიო ხეცურიაძე	18	1	1	2	-	3

დაბლები იყვნენ ჩემი მეურვეები და უფრო ხშირად და თამაშად შევდიოდი ფარქვეშ.

— ბოლო მეოთხედში, როცა ლუქსემბურგელები საბოლოოდ გატეხეთ, რა ხდებოდა და ვინ იყო მოედანზე?

— ძირითადად სათანადოგოები იყვნენ მოედანზე და მათ არაერთი საჭირო ქულა ჩააგდეს — ლაშა გამყრელიძემ და შიო ხეცურიაძემ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს მეტოქის საბოლოოდ გატეხვაში. ისიც სათქმელია, რომ ლუქსემბურგელები ძალიან გადაიდლანენ.

— ლუქსემბურგში მოგებას ბევრიც არაფერი უნდოდა, მაკედონიაში კი...

— მაკედონიასთან შეხვედრა „რუსთავი 2-მა“ აჩვენა და თქვენც ნახავდით, რომ ის მატჩი, მოსაგები იყო, მაგრამ...

— რისი და ვისი ბრალია წაგება?

— ჩვენი, ყველასი. უამრავი შეცდომა დავუშვი, ელემენტარულ, უხიფათო სიტუაციაში ვკარგავდით ბურთს. მეტი სიდიხავე რომ გამოგვეჩინა, სკოპიდან აუცილებლად წამოვივლებდით 2 ქულას.

— მაკედონიელებმა ფინეთში იმარჯვეს — ეს ცუდია თუ კარგი ჩვენთვის?

— რა თქმა უნდა, არასასურველი იყო იმ გუნდის გამარჯვება, ვისთანაც სამი დღის წინ დავმარცხდით. ახლა უკან დასახვევი გზა მოჭრილი გვაქვს, ყველა მატჩი უნდა მოვიგოთ.

— ამ რესურსით შესაძლებელია ყველა მატჩის მოგება?

— შესაძლებელია, მაგრამ თუ უკეთ არ მოვემზადდით, ალბათ ვერ მოვიგებთ. ტრავმირებულები უნდა

დაგვემატონ და უფრო ხანგრძლივი შეკრებაც გავიაროთ. თუ მოვემზადებით, ჯგუფიდანაც გავალთ.

— მაკედონიასთან მატჩის წუთშესვენებაზე ტელევიზორში გამოჩნდა, რომ რალაცაზე-მაგრად იყავი ნერვებაშლილი და შეიგინე კიდეც...

— რაზე ვიქნებოდი გაბრაზებული, თუ არა ჩვენს თამაშზე. თუ არ ვცდები, ეგ მაშინ მოხდა, როცა 55:55 ანგარიშზე რამდენიმე შეტევა გავაფუჭეთ და ჩვენმა მწვრთნელმა წუთშესვენება აიღო. დაწინაურების რეალური შანსი გაუშვით ხელიდან და აღელვებულნი ვიყავი.

— ნაკრების წლევეანდელი მატჩები მოილიეთ და რა განწყობა დაგრჩა?

— რა ვიცი, მაკედონიაში გავმართლებლად წაგებას ვერ ვიციწყებ, მაგრამ ერთიანობაში მთლად უკმაყოფილო მაინც არ დავრჩენილვარ. ასეთი თამაშით მომავალ მატჩებში წარმატებაზე ვერ ვიფიქრებთ, ძალიან ბევრი რამ გვაქვს დასახვეწი და ეს ერთწლიანი შესვენებაც მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

მაშ ასე, საქართველოს ნაკრები ევროსარბიელს ერთი წლით ემშვიდობება. მერე კი, 2005 წლის 3 სექტემბერს, უმნიშვნელოვანესი ვახი ელის ფინეთში, რისი წაგების შემთხვევაშიც ევრო 7 სექტემბერს მაკედონიასთან მატჩს აზრი დაეკარგოს. ისე, ბოისასი არ იყოს, თუ სათანადოდ მოვემზადებით და საქმეს სერიოზულად მივუდგებით, წინ, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე, ვერავინ დაგვიდგება.

ირაკლი ბერტაია

**ფინეთი 78:87 გააქლონია**

**ფინეთი:** რანიკო (20), კოტი (22), მოტოლა (12), ნოიოლა (6), მატინენი (2), ლუბტონენი (7), ლუბტორანტა (5), ულანდერი (2), უისმა

**გაქლონია:** სტეფანოვი (9), სამარჯივი (3), კურტოვიჩი (9), შიმიკი (2), ჩეკოვსკი (8), გაჩევესკი (4), დიმიტროვსკი (4), ბლაჟევესკი (20), ჯონსი (26)

	თ	მ	წ	ბურთ	ქ
გაქლონია	3	3	0	262:224	6
საქართველო	3	2	1	249:220	5
ფინეთი	3	1	2	253:236	4
ლუქსემბურგი	3	0	3	194:278	3

საქართველოს 19-წლამდელ ჯაბუკ წყალბურთელთა თავკაცი სოსო მაისურაძე ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის დაწყებამდე ათუღმში შესვლაზეც ყაბულს იყო. საქართველო ასეთი ევრომანაწილა როდია, მაგრამ მაისურაძის საწყისი ძირითად ბირთვს 17-18 წლის წყალბურთელები შეადგენდნენ და უფროსების მარაგში ხუთ გუნდს რომ აჯობებ, ესეც საქმეა. ჩვენს ბიჭებს მალტის აუზში ჯგუფიდან გასვლა-მდე და შემდეგ მე-10 ადგილამდეც ერთი გოლი დააკლდათ.

როგორც იცით, ჯგუფში ქართველებმა სამ მატჩში ერთი კინკლა

## ჭაბუკეზა მე-11 ადგილადა მიხურს

ქულა აიღეს — საფრანგეთთან 7:7 ფრე ითამაშეს, სლოვაკეთთან 7:8 დამარცხდნენ, სერბეთთან კი — 7:8. მეცხრე-მეთექვსმეტე ადგილებისთვის ბრძოლაში კი B ჯგუფში დამარცხებულებთან — ჰოლანდიას და დიდ ბრიტანეთთან მოუწიათ ჭიდილი.

ჩვენებსა და ფრანგებს ერთმანეთთან მოპოვებული თითო ქულა გადაჰყვა, ბენილუქსელებს 2 ჰქონდათ, ხოლო ბრიტანელებს არცერთი. ქართველმა ჯაბუკებმა ჰოლანდიასთან 9:9 ითამაშეს, თუმც ბო-

ლო მეოთხედში ერთბურთიანი უპირატესობა რომ არ გაენიანებინათ, გერმანელებთან მე-9 ადგილისთვის საბრძოლველათ მოუწევდათ აუზში ჩასვლა. ასე კი ფრანგებმა გვაჯობეს, რომლებმაც „ტიტები“ 12:5 „ჩაიძირეს“ და დიდ ბრიტანეთსაც იოლად მოერივნენ — 5:3.

ამის შემდეგ კი იძალეს სოსო მაისურაძის გაწვრთნილებმა: ალბონელებს გოლების ცეცხა დაატეხეს, პირველ მეოთხედში 4:1 დაწინაურდნენ, ბოლოს კი 9:3 იმარჯვეს. ბო-

ლო მატჩში ჩვენებს მასპინძელი მალტა 14:6 შემოემარცხათ, საბოლოოდ ბე-11 ადგილი დაიკავეს და მალტა, პოლანდია, სლოვენია, დიდი ბრიტანეთი და პოლონეთი ჩამოიტოვეს. პრინციპში, მე-10 და მე-11 ადგილებს შორის რა იმხელა სხვაობა, თანაც შარშანდელთან შედარებით ორი საფეხური აფინაცვლეთ და გაისად ჯგუფიდან გასვლა უკვე სავალდებულოც იქნება — ეს 17-18 წლის ბიჭები უფრო დავაჟაკვდებიან და მეტოქეებს ასევე უპირატესობა ნო-

ემბრის თოვლივით შემოადნებათ. რაც შეეხება ზედა უშლონს, ჩვენს ჯგუფში გააპარაშუბული სერბეთი ფინალში ხორვატიას დაუპირისპირდება და ეს ის შემთხვევაა, აუზის წითლად შეღებვა რომ არ გავიკვირდება. თუმც ისიც ვთქვათ, რომ სერბები ყველა მეტოქეს განკითხვის დღეს უწყობენ, მეოთხედფინალში ჩვენი „კეთილი“ მეზობელი რუსეთი 13:2 შარცხენებს, ნახევარფინალში კი იტალიასაც შავი დღე აყარეს — 10:3. ხორვატებმა კი ნახევარფინალში მოულოდნელად აჯობეს უნგრეთს — 8:6.

ილია ნანოგაფშილი

# ჩვენ კიდევ ჩამოვართ

ფინალი


ოლგა ლაზარჩუკი (1, უკრაინა) — კატარინა კაჩლიკოვა (7, სლოვაკეთი) 6:2, 6:2

17 სექტემბერს ლეილა მესხის აკადემიის კორტებზე „ქართუ ბანკის“ ტრადიციული საჩოგბურთო ტურნირის ფინალი შედგა. 1997 წლიდან მოყოლებული ტურნირი ყოველწლიურად იმართება და ნელ-ნელა პოპულარობაც ემატება და პრესტიჟიც. დასაბამიდან შარშანდელამდე უპირატესობა რუსების ჩოგანეპყრათ. მათ სამჯერ მოახერხეს თასის აღება, თითო-ჯერ კი გერმანიის, ავსტრიის, არგენტინის და იუგოსლავიის წარმომადგენლებმა იხიერეს.

წლებანდელ თასს რომ სხვა ეროვნების წარმომადგენელი მოიგებდა, ეს ჯერ კიდევ მეოთხედფინალეში გაირკვა. ფინალში ბრძოლის პატივისთვის უკრაინელი ოლგა ლაზარჩუკი და სლოვაკი კატარინა კაჩლიკოვა შესაბამისად ლატვიელი ირინა კუზმინასა და გაფრანგებულ ვიკინგ მატჩილდა იოჰანსონს დაუპირისპირდნენ. უკრაინელმა და სლოვაკმა იმარჯვეს და ფინალშიც სწორედ მათი ბურთაობა ვნახეთ.

თამაშე რამდენიმე წუთით ადრე შევსებულ ტრიბუნაზე გულშემატკივარი უფრო ლაზარჩუკის გამარჯვებას წინასწარმეტყველებდა და ეს პროგნოზი დიდ ნოსტრადამუსობას ნაღდად არ საჭიროებდა. პირველ ნომრად განთესილმა ოლიამ ფინალს ისე უწია, სეტი არავისთვის დაუთმო, მის მეტოქეს კი ამკარად უფრო გაუჭირდა. თუმცა იყო ასეთი მოსაზრებაც, სლოვაკმა იცის, ძალები როგორ გადასაწილოს, თავს ინახავს და ნახეთ, ფავორიტად მიჩნეულ ფრანგს ნახევარფინალში რა იოლად გაუსწორდა.

ფინალში პირველი ხუთი გეიმი მართლაც სასიერო გამოდგა. ორივემ უკანა ხაზიდან თამაში იჩრია



ჩემპიონი ოლგა ლაზარჩუკი თბილისის მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა დააჯილდოვა

და ბაღესთან იშვიათად თუ გადიოდნენ. ლაზარჩუკი უფრო ჯანიანი გახლდათ და პირველივე წუთებიდან მთელი ძალით უჭახუნებდა ბურთს. სამაგიეროდ, კაჩლიკოვა ოდნავ სწრაფად დარბოდა კორტზე. საწყისი ოთხი გეიმის შემდეგ ანგარიში 2:2 გახლდათ, შემდეგ კი ძალიან საინტერესო და ალბათ სეტის შედეგის საბოლოოდ გადამწყვეტი მეხუთე გეიმი დაიწყო. 40:40-ის, შემდეგ ლაზარჩუკი სამჯერ იყო მეტს, თუმცა კატარინა ჯიუტად უთანაბრებდა ხოლმე. ბოლოს სლოვაკი მინც შეცვდა და ანგარიში 3:2 გახდა უკრაინელის სასარგებლოდ. ამას ოლგამ ერთი გეიმიც რომ მიაციოლა, კაჩლიკოვა მიხვდა, სეტის მოგების ძალიან მცირე შანსები რომ ჰქონდა და ძალები შემდეგი სეტისთვის შემოინახა.

დაიწყო თუ არა მეორე და, როგორც აღმოჩნდა, ტურნირის უკანასკნელი სეტი, სლოვაკმა ისევ გამოაჩინა ბრჭყალები. ამ ციკქნა გოგომ ვეება ლაზარჩუკს ერთი-ორჯერ ისე მიუბრუნა ბურთი, რომ უკრაინელის მოწოდებაც მოიგო და წინაც გავიდა, თუმცა შემდეგ თავისი დათმო და ანგარიში 1:1 გა-

ხდა. ლაზარჩუკმა კი ამას კიდევ ორი გეიმი მიაციოლა და უკვე მერამდენედ შეგვექმნა შთაბეჭდილება, რომ ყველაფერი გადაწყდა. ალბათ ოლგაც ამ შთაბეჭდილების მსხვერპლი შეიქნა და ერთი ქულა მაინც დაკარგა, ის კი არა, კაჩლიკოვას რამდენიმე შეცდომა რომ არ დაეშვა, ანგარიშს გაათანაბრებდა და მერე ვინ იცის...

მაგრამ ანგარიში აღარ გათანაბრებულა და ადარც უკრაინელს გაუშვია ჩოგნიდან ინიციატივა. საბოლოოდ ორივე სეტი ერთნაირი ანგარიშით — 6:2, 6:2 მოიგო და ტურნირის მერვე გამარჯვებულად სრულიად დამსახურებულად მოგვევლინა.

თამაშის დასრულებიდან რამდენიმე წუთში ტურნირის ორგანიზატორებმა სამაზსოვრო საჩუქრები და ფულადი პრიზები გადასცეს მონაწილეებს. სლოვაკმა ფინალში წაგებისთვის 1700 დოლარი მიიღო, გამარჯვებულმა კი მოგებისთვის 3000. ოდნავ ნირწამხდარი კატარინა მიკროფონთან მივიდა, მეტოქეს გამარჯვება მიულოცა და შეგვიპირდა, გაისადაც აუცილებლად ჩამოვალ და ჩემსას ვეცდები.



დამარცხებული კატარინა კაჩლიკოვა ჩამოსვლას კიდევ გვებრდება

გამარჯვებულმა კი გაბადრული სახითა და მომზიზველი ღიმილით გადაუხადა მადლობა ყველას, ვინც კი თვად მოაგონდა და არც გულ-

შემატკივარი დაივიწყა. შემდეგ, კატარინას დარად, ისიც თბილისში სტუმრობას შეგვიპირდა.

ლადო ფულუბიკი

## გათუვი. თიხნარი საპრიზო 50 000 \$ გათუვი სანქციას გადაურჩა

21 სექტემბერს ბათუმის საჩოგბურთო კორტები მერვედ უმასპინძლებს ქალთა საერთაშორისო ტურნირს — „ლედის ოუფენს“, რომლის ორგანიზატორებიც საქართველოსა და აჭარის ჩოგბურთის ფედერაციები გახლავან.

„ლედის ოუფენმა“ 10-ათასლარიანი საპრიზო ფონდით დაიწყო და ბოლო 2 წლის განმავლობაში, ასლან აბაშიძის პატრონობით 75 ათას ლარს უწია. წლეულს კი საპრიზო 50 ათას ლარამდე შემცირდა.

ვარდების რეკლუციასა და კორტების დაყადებას „ლედის ოუფენისათვის“ ხელი არ შეუშლია. თუმცა ტურნირის ჩატარება ისეც აუცილებლად უნდა მოხერხებულიყო, რადგან იგი საერთაშორისო კალენდარშია შეტანილი და ჩაშლის შემთხვევაში საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციას მომავალში ანალოგიური ტურნირის ჩატარება აუკრძალებოდა ქვეყანაში. ასევე გარკვეული პრობლემები შეექმნებოდათ ქართველ ჩოგბურთელებს საერთაშორისო სარბიელზე.

გიორგი მურმანიძე ბათუმიდან

## საქართველოს ჩემპიონატი

# ლელომ აიას ლელოები ანჰიმა

ტურის ყველაზე დაძაბული ჯახი ბათუმის „ანგისას“ სტადიონზე გაიმართა, სადაც ლევან მგელაძის გაწვრთნილმა „დათუბმა“ მეორე ტაიმში გატეხეს ვიცეკემპიონი „ფორები“. თბილისელები ლაშა მალალურაძის საჯარიმომ დააწინაურა, თუმცა შეცვლაზე შესული ბათუმელი სერგო მოქიას ლელოს „დათუბის“ სტაჟიანი დამრტყმელის კახა მაჩიტაძის „ტრიპლეთი“ — გარდასახვა, არეკნი და საჯარიმო მოჰყვა. „ფორი“ ირაკლი გეგენავას ლელომ კი მხოლოდ ანგარიში „შეღამაზა“, რადგან ამ დროს მსაჯი უკვე საფინალს სისტემის ჩასაბერად ემზადებოდა. მალაზ ჭვიშვილის გუნდმა ზედხედ მეორე მატჩი წააგო და აქედანვე ჩანს, კონტინგენ-

ტ მესუსტებულს შარშანდელივით ფინალში გასვლა გაუჭირდება.

დანარჩენ ორ მატჩს კი „ლოკომოტივის“ სათადარიგო მინდორმა უმასპინძლა. შვიდი წამყვანი მორაგების წასვლამ მთლად მოშალა თემურ ბენდიაშვილის სამწყსო, რომელიც მოლონიერებულ „აკადემიასთან“ დაიჩაგრა. მუშტი-კრივით და სინბინებით სავსე შეხვედრაში საქართველოს ნაკრების მოთამაშეებმა გაილაღეს. მალაზ ურჯუკაშვილმა ორი გარდასახვა კი ააცილა, მაგრამ 4-ჯერ ზუსტად დაარტყა, მესამეხაზელმა დავით ბოლლაშვილმა და გარემარბმა ირაკლი მაჩხანელმა კი ლელოები მითვალეს. ახლა „ლოკომოტივობას“ სწორედ „აკადემიამ“ სწევს და უდანაკარგოდაც მიიკვლევს გზას.

„ლელომ“ კი ნაირ-ნაირად დააღლეოვა ფინანსურ გაწამაწიაში მყოფი „აია“. კვლავ ჯანზე იყო 20 წლის მეორეხაზელი მამუკა გორგოძე, რომელმაც თავის წილად სამი ლელო გაიტანა. და კიდევ, ლევან მაისაშვილის გუნდში ითამაშა „ბორჯღალოსანთა“ 9 ნომერმა მერაბ კვირიკაშვილმაც. „მეკო“ ფრანგული „ნაციონალ-ის“ პარიზის უნივერსიტეტის კლუბში უნდა გადასულიყო, თუმცა სავიზო პრობლემებმა დააბრკოლა და შესაძლოა, ეს სეზონიც „ლელოში“ გაატაროს. თუ ასე მოხდა, ისედაც ფავორიტებში ჩაწერილი მის გუნდი ნაღდად ძნელი შესაჩერებელი იქნება.

ილია ნანოზაშვილი

## III ტური, 18 სექტემბერი

**ლელო 688 აია**  
 ლელო: სანიკიძე (ვიცეკემპი), კობეშვილი (ვიცეკემპი), ტუბრაიაშვილი, კობაშვილი (ვიცეკემპი), გორგოძე, ნუჭიძე, ხაბიშვილი, სარდანაშვილი (რამაზაშვილი); კვირიკაშვილი (თოფურია), ბარკალაია, ფირფილაშვილი, მჭედლიშვილი, ჯამრულიძე (ცხაკაია), ყიასაშვილი, ქობულაშვილი (თაყაიშვილი)  
 II ლელო: გორგოძე (3), ხაბიშვილი (2), ყიასაშვილი (2), ტუბრაიაშვილი, კვირიკაშვილი, კობეშვილი, ვიცეკემპი  
 5 ბარდასახვა: ყიასაშვილი; I საჯარიმო: ყიასაშვილი  
 აია: ბარბაქაძე (ქუთათელაძე), კუხიაშვილი (ადამია), კეგანიშვილი, კეზულაძე, ყუბანიშვილი (ჭიაბერაძე), ლილოშვილი (მაგნიძე), გუმბერაძე (გიორგაძე), კიკვიძე, კვერნაძე, გ. ჩუბინიძე (ფარულაძე), მშვილდაძე, ზვიადაძე, შერვაშიძე, ბ. ჩუბინიძე, ბრეგვაძე  
 I ლელო: ბ. ჩუბინიძე  
 I საჯარიმო: ზვიადაძე  
 მსაჯი: ჯავახიშვილი

**აკადემია 26:7 ლოკომოტივი**  
 აკადემია: მაჭარაშვილი (ბანდელიძე), სანადირაძე (ჭ. კობახიძე), ბალახაშვილი (გიგინაშვილი), ნეზულიშვილი, გელაძე, ჩიკვაძე, ცხვედიანი (მჭედლიძე), ბოლლაშვილი; მ. კობახიძე, ურჯუკაშვილი, მაჩხანელი, კახანაძე (ნატრაიაშვილი), პინჩუკოვი, ელიზბარაშვილი (მესხიშვილი), გურგენიძე  
 3 ლელო: ბოლლაშვილი, მაჩხანელი, მეს-

ხიშვილი  
 I ბარდასახვა: ურჯუკაშვილი; 4 საჯარიმო: ურჯუკაშვილი  
 სინგინი: ბოლლაშვილი  
 ლოკომოტივი: ქაფიანიძე, ჯოხია (მელაძე), სანაძე, დ. ჟღენტო (თოფურია), გ. ჟღენტო, ქარაბაგი, სანადირაშვილი, ტრაპაიძე (გაბაშვილი); უდესიანი, ხაჩირაშვილი, გუგავა (ბურაძე), გიგაური, ალანია, კობერიძე, ასათიანი (წველიძე)  
 I ლელო: ტყეშელაშვილი  
 I ბარდასახვა: ხაჩირაშვილი  
 სინგინი: ალანია, გ. ჟღენტო, თოფურია  
 მსაჯი: ამირხანაშვილი

**დათუბი 13:10 ყორავი**  
 დათუბი  
 I ლელო: მოქია  
 I ბარდასახვა: მაჩიტაძე; I ბარდასახვა: მაჩიტაძე; I საჯარიმო: მაჩიტაძე  
 ყორავი  
 I ლელო: გეგენავა  
 I ბარდასახვა: მალალურაძე; I საჯარიმო: მალალურაძე

აკადემია	3	3	0	0	67:28	6
ლელო	3	2	0	1	110:43	4
დათუბი	3	2	0	1	48:30	4
ყორავი	3	1	0	2	43:57	2
ლოკომოტივი	3	1	0	2	19:50	2
აია	3	0	0	3	13:92	0

**IV ტური, 25 სექტემბერი**  
 დათუბი — ლოკომოტივი  
 აია — ყორავი  
 აკადემია — ლელო

# თოფაქიე ოლიმპიური გაისრულა გზა დაუთმეთ ორ მიცუბიზის




გიორგი თოფაქიე და გიორგი ასანიძე

შაბათს ჩვენმა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა და ოლიმპიური თამაშების ორგზის პრიზიორმა ელდარ კურტანიძემ კომპანია „ყაზბეგის“ ოფისში ათენის ოლიმპიური თამაშების მედალოსნებს ნახევრადხუმრობით ჰკითხა, კი მაგრამ, თქვენ ვარჯიშის დაწყებას აღარ აპირებთ?

თავად კურტანიძე დარბაზში ისევ ძველებურად ღვრის ოფლს და ამბობს, რაკი ათენში ბედმა მიმუხთლა, პეკინის თამაშებზე უთუოდ გამოვალ და ოქროსთვის მაინც ვიჭიდავებო. მის თანაოლიმპიელ მედალოსნებს კი ჯერ სავარჯიშოდ სად სცალიათ. უფრო სწორედ, ვარჯიშს ვინდა აცდის — ხან საით ექაჩებიან შეხვედრაზე და ხან საით. მთელ გასულ კვირასაც ასე იყო. ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონები ჯერ ქუთაისელებმა გადაიპატივეს და იქაურ ოლიმპიურ ხეივანში ჰოლივუდურ ძველ ვარსკვლავებს ზუ-

რამ ზვიადურსა და გიორგი ასანიძის სახელობის ვარსკვლავებიც შემატეს. შაბათს კი „ყაზბეგის“ ოფისში ის შეხვედრა მოუწყვეს, რითაც თხრობა დაიწყო.

კომპანიის პრეზიდენტმა, საქარ-



ოლიმპიური ბანკეტის არაოლიმპიური სტუმრები: ლევან ცაბაძე და არჩილ არველაძე

თველოს სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტმა გოგი თოფაქიმ ამ შეხვედრაზე ათენის ოლიმპიური ვერცხლის მედალოსნებს ნესტორ ხერგიანსა და რამაზ ნოზაძეს კონვერტები გადასცა, თან იქ შეკრებილი საზოგადოება გააფრთხილა, ახლა არ მკითხოთ, ამ კონვერტში რა არისო. სხვის ჯიბეში ქექვა რა ჩვენი საქმეა და არც ჩვენ გვიკითხავს ხერგიანისა და ნოზაძისთვის, ხოლო თუ ყურმოკრულს დაუფუქრებთ, კონვერტებში ხუთ-ხუთი ათასი ტკიცინებდა.

გოგი თოფაქემ მერე ელდარ კურტანიძე იხმო და ისიც რაღაცით დაასაჩუქრა. თან ყველას მოგვმართა, ამ კაცისა გამკვირვებია, რაც ათენიდან ჩამოვიდა, იქაური მარცხისთვის სულ ბოლიშებს იხდის, მაგრამ ეს ხომ ის კურტანიძეა, ვინც შარშან და შარშანწინ მსოფლიოს ჩემპიონატებზე ორი ოქროს მიიპოვა, მანამდეც ბევრჯერ გაგვახარა და ის ირანელიც შარშან თავისსავე ხალიჩაზე ბეჭვებით გააკრა. ეს სპორტია, ხან მოიგებ, ხან წააგებ



ოლიმპიური ჩემპიონების ახალი საჩუქრები: გიორგი ასანიძემ და ზურაბ ზვიადურმა გოგი თოფაქისგან „მიცუბიშები“ მიიღეს

და კიდევ ბევრჯერ გაგვახარებო. გოგი თოფაქემ მანამდე ისიც თქვა, ჩვენი ლული და ცივი ჩაი რომ კარვად იყიდება, ამაში თქვენი დიდი წვლილიცაა, რადგან ჩვენ ნაწარმს რეკლამას უწევთ და ჩვენ არჩევანში არც შევმცდარვართო. ცივი ჩაის სმას რაც შესძლებია, ეს ათენშიც გამოჩნდა...

ბოლოს თოფაქემ — ახლა ჩვენს ეზოში ცოტა ხნით ჩავიდეთ, იქ ოლიმპიური ჩემპიონებისთვის პატარა სიურპრიზი გველოდებაო. მერე იქვე დასძინა, თუმცა, ეს რაღა სიურპრიზია, უკვე ყველამ იცის, რაზეა საუბარიო.

და ამ დროს საუბარი პატარა კი არა, „მიცუბიშის“ ორ დიდ და ჯანბან ჯიბეზე იყო, რომლებიც ეზოში ვერცხლისფრად ლაპლაპებდნენ. ორივეს წითელ ლენტზე ჩამოკონწიალებული ვეება სიმბოლური ოქროს მედელები ამშვენებდა. იქვე „ყაზბეგის“ სარეკლამო სამსახურის უფროსმა გიორგი თოფაქემ ზურაბ ზვიადურსა და გიორგი ასა-

ნიძეს ჯიბების გასაღებები გადასცა, ამ მანქანებს დაქოქვისა და შინ წაყვანის მეტი აღარაფერი უნდაო.

შინ წაყვანამდე კი ისევ ოფისში გვიხმეს, სუფრასთან, სადაც ყაზბეგისავე ცივი ჩაიც იყო და ცივი ლულიც. და ის იყო ვიფიქრეთ, ამ მეფურ საჩუქრებს, მათ მჩუქებულს, დასაჩუქრებულებსა და მომავალ გამარჯვებებს ლულით ხომ არ დავლოცავთ-მეთქი და სწორედ ამ დროს გიორგი ასანიძემ იმ დიდი ბოთლების ტყეში პატარებსაც მოპკრა თვალი. „ყაზბეგის“ ახალი ნაწარმი, კონიაკი აღმოჩნდა. სადღეგრძელოებიც კონიაკით დაილია.


მაღე, როცა ყველაფერი მიწყნარდება, მაშინ კი საპეკინო ვარჯიშისა და ცივი ჩაის სმის დროც დადგება.

ახლა კი, გზა დავუთმოთ ორ ვერცხლისფერ „მიცუბიშის“


**ამთანდელ გურასაფრილი ბადრი ამთილაძის ფოტოები**

ჭ პი030 ჯ

# ოსკარის წაიქცა



ლას ვეგასში ამბავი მოხდა: კარიერაში პირველად, ამერიკის ოქროს ბიჭი, აწ 31 წლის ოსკარ დე ლა ჰოია ნოკაუტში ჩავარდა იმ საშინელი ცაცია ჰუკით საშუალო წონის უდავო ჩემპიონმა ბერარდ ჰოპკინსმა რომ მოიქნია. ამგვარი სისასტიკის დარტყმა ბარე ორს არ ხელეწიფება მსოფლიო კრივში, 39 წლის ჰოპკინსს კი დიახაც. ის სულაც არ არის ვინმე დროებითი ჩემპიონი, ან ვინმე ეგეთი: მეტსახელად „დამსჯელი“ ჰქვია და 12 წელიწადია საერთოდ არ დამარცხებულა რინგზე. დე ლა ჰოია კი იმით არის ძვირფასი ამერიკელთათვის, რომ წესიერი, სიმპატიური ბიჭია და თავიდან ისე ხდებოდა



ჩემპიონი, რომ საერთოდ არ აგებდა, რის გამოც, ავი ენები ამბობდნენ განსაზღვრულად სუსტებს ხვდებო. ოსკარი ძლიერებსაც შეხვდა, წაგებადაც მოუწია, მოგებაც შეძლო და ჯამში, 40 ბრძოლიდან 37 მოგება და 6 სხვადასხვა წონის სასახელო ჩემპიონობა მოუგროვდა. ახლა დე ლა ჰოია საშუალო წონაში აბარგდა. ჰოპკინსთან ბრძოლა მისთვის მეორე იყო ამ დღეიზონში და ძალიან გაუჭირდა — ჰოპკინსმა ხელი მეცხრე რაუნდში მოუთავა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ შერკინება დე ლა ჰოიას თავზეხელაღებული შეტევებით დაიწყო. ჰოპკინმა დიდად აქო და ადიდა წაქცეული: „ის ჯიქურ მოვიდა ჩემზე, აქეთ-იქით

სირბილი არ დაუწყია. დიდი ვაჟკაცობაა ჩემთან ასე გამოსვლა. ამ ასაკში ასეთი გამარჯვება მაფიქრებინებს, რომ კრივს არ გამოვეთხოვო და ერთხელაც შევხვედე როი ჯონსს, რომელთანაც ოდესღაც ქულები წვაგა.“ თავად ოსკარმა კი თქვა, რომ ამაცობს თავისი კრივით: „ის საშუალო წონის მსოფლიოს ჩემპიონია. მე უძლეველთან ბრძოლა ვცადე და სწორედ ამით ვამაყობ.“ ჰონორარის მხრივ დე ლა ჰოია მოგებული დარჩა — 17 მილიონი დოლარი აიღო. ჰოპკინსმა კი თქვა, მხოლოდ 6 მერგო.

ალბერტ ხაჩატურიანი

# ერასს უკნიდან ბიჭი წაჟიროვარა

„შუაღტას“ ძველმა ჩემპიონმა რობერტო ერასმა ორიოდ დღის წინ კი მოიპოვა საერთო ჩათვლაში ლიდერობა და სადღესოდ ყველაზე ცნობილმა ესპანელმა ველომბოლმა სამშობლოში მეორე ჩემპიონობის განაცხადც გააკეთა. მაგრამ, ისე ჩანს, ერასს მადრიდამდე არ მოასვენებენ დაუღალავი ჯველი მრბოლები, ასე რომ მომრავლებულან კასტილიის ველოგზატკეცილებზე. ეს უქმეები ნაკლებად ცნობილი მრბოლის სანტიავო პერესის ზეობისა იყო. მან მოიგო საკურორტო მალაგადან ისტორიულ ვრანადამდე მივებზე და ოდრო-ჩოლორებზე გადაძავალი 167-კილომეტრიანი მე-14 ეტაპი და მეორე დღეს 30-კილომეტრიან ინდივიდუალურ სამთო რბოლაშიც ყველაზე უკეთესი დრო აჩვენა. ამ ორი ეტაპის შემდეგ მან საერთო ჩათვლაში ხუთი საფეხურით წაიწია და ერასისა და ალ-

ხანდრო ვალვერდეს ბორბლებსუკან მესამე ადგილზე ჩასაფრდა. მე-14 ეტაპზე პერესმა ფინიშამდე 30-იოდ კილომეტრით ადრე შეუტია და მოახერხა ხახადაღებული პელოტონისგან მოწყვეტა. მარტომ გადაიარა უკანასკნელი უღელტეხილი და მოიერიშე ჯგუფს 46 წამი მოუგო. ამ გამარჯვებას ჩემი მეგობარი გოგონას ხსოვნას ვუძღვნიო, ამბობდა გამარჯვებული, ვინაც ორი

წლის წინ ავტოკატასტროფაში დაკარგა გელფრენდი. ამ სოლოგარლვევის და ჯაფის მიუხედავად პერესს იმდენი ძალა შემორჩა ფეხებში, რომ მეორე დღეს, ანუ გუშინ ინდივიდუალურ გამოცდაში წუთზე მეტით აჯობა ვალვერდეს და თითქმის ორი წუთი ერასს. საერთო ჩათვლაში დაწინაურებამდეც ერთი კარგი ეტაპიდა აკლია.

### კოტე ჯანაზაძე

<b>18 სექტემბერი. მე-14 ეტაპი. მალაგა — ბრანადა. 167 კმ</b>		
1 სანტიავო პერესი (ესპანეთი, ფონაკი)	4სთ 6წთ 34ფ	
2 ალესანდრო ვალვერდე (ესპანეთი, კელმე)		+46ფ
3 ლუის პერესი (ესპანეთი, კოფიფისი)		იგივე დრო
<b>19 სექტემბერი. მე-15 ეტაპი. ბრანადა — სიმრა ნეზადა. 49,6 კმ</b>		
1 სანტიავო პერესი (ესპანეთი, ფონაკი)	1სთ 25წთ 29ფ	
2 ალესანდრო ვალვერდე (ესპანეთი, კელმე)		+1წთ 7ფ
3 რობერტო ერასი (ესპანეთი, ლიბერთი სეგუროსი)		+1წთ 51ფ
<b>საერთო ჩათვლა</b>		
1 რობერტო ერასი (ესპანეთი, ლიბერთი სეგუროსი)	54სთ 45წთ 25ფ	
2 ალესანდრო ვალვერდე (ესპანეთი, კელმე)		+5ფ
3 სანტიავო პერესი (ესპანეთი, ფონაკი)		+1წთ 45ფ

### ავტორბოლა

## სლოვაკი რეპლიკატი რალოში XII ეტაპი დიდი ბრიტანეთი ლოპის ტრიუმფი გადაიღო



პარდივის შემოგარენში რბოლამდე ისეთი სატურნირო ვითარება იყო, რომ ფრანგ პილოტ სებასტიენ ლოებს და მის მონაკოელ თანამძღოლ დანიელ ელენას შეედლოთ, სეზონის ფინიშამდე ოთხი ეტაპით ადრე გაენადლებინათ ჩემპიონის ტიტული, თუკი გამარჯვებას მოიპოვებდნენ, ხოლო მეორე პოზიციაზე მყოფი ნორვეგიელი პეტერ სოლბერგი უქულოდ დარჩებოდა. ფრანგულ-მონაკოურმა ეკიპამ თავისი წილი საქმე ლამის წარმატებით მოაგვარა, თავიდანვე დაწინაურებული მძღველები დიდ პრიზამდე ნაბიჯიდა აკლდათ, მაგრამ ტრიუმფი გადაიღო, რადგან სოლბერგის და ფილ მილსის ტანდემსაც ფათერაკი არ მოსვლია და წინწასულეებს ისეთი წინააღმდეგობა გაუწიეს, რომ რბოლის ბოლოს ლიდერობა ჩამოართვეს კიდევ.

„პოლივუდ“ პეტერმა 19 ჩქაროსნული უბნიდან რვაზე საუკეთესო დრო აჩვენა, განსაკუთრებით იაქტიურა 398-კილომეტრიანი დისტანციის მეორე ნაწილში, 25-წამიანი ჩამორჩენაც გააბათილა და ზედიზედ მესამედ ბრიტანული რალის მოგება შეძლო. წვიმისგან დამბალ მიწიან გზე-

ბზე ძალიან ჭირდა მანქანის შეკავება, რის გამოც 38 ეკიპაჟი გამოეთიშა ბრძოლას, მათ შორის მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები მარკუს გრონჰოლმი და ტიმო რაუტიანიენი. ფინელების „პეუს“ გზისპირა ქვაზე მიხეთქებამ სიჩქარეთა კოლოფი მოუშალა და მესამე ადგილი დააკარგვინა.

<b>რალოის შედეგები</b>	
1 პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ)	3სთ; 42.39,5
2 სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი)	ჩამორჩა 6,3
3 მარკო მარტინი (ესტონეთი, ფორდი)	2.53,7
4 კარლოს საინსი (ესპანეთი, სიტროენი)	3.42,1
5 ფრანსუა დიუვალი (ბელგია, ფორდი)	4.41,3
6 ჰარი როვანპერა (ფინეთი, პეუს)	6.44,9
7 მიკო პირვონენი (ფინეთი, სუბარუ)	7.08,3
8 მანფრედ შტოლი (გერმანია, პეუს)	10.20,1
<b>საერთო ჩათვლა</b>	
1 სებასტიენ ლოები 92 ქულა; 2 პეტერ სოლბერგი 64; 3 მარკო მარტინი 59; 4 კარლოს საინსი 55; 5 მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, პეუს) 47; 6 ფრანსუა დიუვალი (ბელგია, ფორდი) 43; 7 მიკო პირვონენი 23; 8 ჰარი როვანპერა 20; 9 იანე ტუიონი (ფინეთი, ფორდი) 16; 10 ფრედი ლოა (ბელგია, პეუს) 7	
<b>კონსტრუქტორთა თასი</b>	
სიტროენი 150 ქულა, ფორდი 112, სუბარუ 92, პეუს 76, მიცუბისი 17	



ლორის კაპიროსი ამ საშინელ ავარიას საღსალამათი გადაურჩა

## იაპონიაში თაგადაე ითაგადა როსი მაინც ყვალაზე წინაა

ტოკიოს მახლობლად, „მოტეგის“ ავტოდრომზე ათეულ ათასობით ქომავთა გასახარად, ამომავალი მზის ქვეყნის დიდი პრიზის გათამაშება აბსოლუტური იაპონური ტრიუმფით აღინიშნა: უმთავრეს, „სამეფო კლასში“ კვალიფიკაცია და რბოლაც მოიგო იაპონელმა მრბოლმა, თანაც იაპონურ საბურავებიანი (ბრიჯსტონი) იაპონური მოტოთი. 28 წლის მაკოტო ტამადამ წლეულს მეორედ მოიპოვა პოული, მსოფლიოს ჩემპიონ ვალენტინო როსის კი მესამე შედეგი ჰქონდა. სტარტზე პირველივე მოსახვევში საშინელი ავარია მოხდა ხუთი მრბოლის მონაწილეობით, მაგრამ საბედნიეროდ, მძიმედ არავინ დაშავებულა. როსიმ მალე მოახერხა ტამადას გვერდის ავლა და ქარავანს თავში მოე-


ქცა, თუმც მეშვიდე წრეზე იაპონელმა ჩინებული მანევრით შეძლო ჩემპიონის გასწრება. როსის რაში ამჯერად აშკარად ვერ იყო ჯანზე და ყოველ წრეზე სულ უფრო უკან რჩებოდა, რაც ეტყობა, ნაწილობრივ „მიშლენის“ საბურავების ბრალიცაა. ტამადას ფინიშამდე ერთი შეცდომაც არ მოსვლია და წლეულს მეორე გამარჯვება იხეიმა. როსიმ კი წაგების მიუხედავად, უფრო განიმტკიცა საერთო ჩათვლაში უპირატესობა და მორიგ ტიტულსაც ალბათ ვერავინ შეეცილება, რადგან უახლოესი მღევარი, ესპანელი სეტე გიბერნო სამეულშიც ვერ მოხვდა. ასევე უზარმაზარი უპირატესობით ლიდერობენ სხვა კლასებშიც როსის თანამემამულე ანდრეა დოვიზიოსო და ესპანელი დანიელ პედროსა.

<b>იაპონიის დიდი პრიზი. მოტოპი — 4801 კმ</b>	
<b>მოტო ბრანე პრი — 115,2კმ</b>	
1 მაკოტო ტამადა (იაპონია, ქემელ ჰონდა)	43 წთ; 43,2
2 ვალენტინო როსი (იტალია, გალუაზ იამაჰა)	ჩამორჩა 6,2
3 შინი ნაკანო (იაპონია, კავასაკი)	13,4
<b>საერთო ჩათვლა</b>	
1 როსი 229 ქულა; 2 სეტე გიბერნო (ესპანეთი, ტელეფონიკა ჰონდა) 190; 3 მაქს ბიაჯი (იტალია, ქემელ ჰონდა) 158; 4 ალექს ბარუში (ბრაზილია, რეპსოლ ჰონდა) 115; 5 ტამადა 114	
<b>250 სმ — 110,4კმ</b>	
1 დანიელ პედროსა (ესპანეთი, ტელეფონიკა ჰონდა)	43 წთ; 36,8
2 ტონი ელიასი (ესპანეთი, ფორტუნა ჰონდა)	3,2
3 პიროსი აოიამა (იაპონია, ტელეფონიკა ჰონდა)	16,0
<b>საერთო ჩათვლა</b>	
1 პედროსა 234 ქულა; 2 რენდი დე პიუნე (საფრანგეთი, კარერა აპრილია) 187; 3 სებასტიან პორტო (არგენტინა, რეპსოლ აპრილია) 186; 4 ელიასი 142; 5 ალექს დე ანჯელისი (სან მარინო, აპრილია რეისინგი) 114	
<b>125 სმ — 62,4კმ</b>	
1 ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, კოპრონ ჰონდა)	25 წთ; 52,2
2 ფაბრიციო ლაი (იტალია, ჯილერა)	11,1
3 სიმონე კორსი (იტალია, კოპრონ ჰონდა)	11,2
<b>საერთო ჩათვლა</b>	
1 დოვიზიოსო 208 ქულა; 2 ექტორ ბარბერა (ესპანეთი, ზედოროფ აპრილია) 163; 3 რობერტო ლოკატელი (იტალია, კარერა აპრილია) 156; 4 ხორხე ლორენცი (ესპანეთი, კახა მადრიდ დერბი) 134; 5 პაბლო ნიეტო (ესპანეთი, რეპსოლ აპრილია) 114	



# კვლავ კუბისკენ

მოაწია ამის დრომაც: მომჯობინებული დიეგო მარადონა კვლავ მიემგზავრება კუბაში, რათა იქაურ კლინიკაში კიდევ ერთხელ სცადოს კოკაინის ვადაგდება. ფიდელო ალბათ კვლავაც პატივით მიიღებს ძველ მეგობარს.



REUTERS ბუენოს აირესიდან

# სანამ ქმრები

ამათ რა ენაღვლებათ, ქმრები კი თფლსა ღვრიან. ბლუმფილდში, მისიგანში გახურებულია 35-ე რაიდერის თასი, მეგობრულთა განთქმულზე განთქმული შეჯიბრი, რომლის პირველსავე რაუნდში წყვილად იბრძვიან ფილ მიკელსონი და ტაიგერ ვუდსი. პოდა, ეს მოვლილი ქალები მისი ემი მიკელსონი (გაციხებული) და ტაიგერის გელფერენდი ელის ნორდინგენი გახლავან.



REUTERS ბლუმფილდიდან



# ეროვნული ბიზლირთეკი


## ქალთა ბიბული

ამერიკელმა მირაბელ სურიტამ (მარჯვნივ) სეულშივე აართვა ჩემპიონობა კორეულ ჩოი სინ-პის. ბოლონანს მოყიხადებული ქალთა კრივის ასოციაციის საჩემპიონო ბრძოლა ათრაუნდიანი იყო, თუმცა დიდი შოუს იერით მაინც ვერ დაიგვეხნია.

REUTERS სეულიდან

# პეპასური სიხილი

უქმეებზე ღას ვეგასის „უქმეებ გრანდში“ დიდი საკრივო თაფურილობა იყო. ბერნარდ პოპინს — ოსკარ დე ლა პოიას საჩემპიონო თრთაბრძოლაში ბევრი განთქმული ადამიანი მიიზიდა, მათ შორის კი კრივის უგანთქმულესი ხალხი, თან ყველანი კარვ ხასიათზე: თვით მაიკ ტაისონი და დიადი რობერტო დურანცი, რომლებიც ერთმანეთს ადღევრძელებენ კამერათა წინ.



REUTERS ლას ვეგასიდან



# ოლიმპიადის უბედავ

ათენის ოლიმპიადას მოჰყვა ინვალიდთა თამაშები. ათენისავე დარბაზებში ერთმანეთს ხეიბარი სპორტსმენები ებრძვიან. ამ სურათზე პოლონელი პიოტრ შოპისა და ჰონკონგელი ჰუი ჩამ ჰუნგის ფარიკაობაა აღბეჭდილი.

REUTERS ათენიდან

**სარბიელი**  
საორტული გახეითი  
გამოცემა 1990 წლის  
28 დეკემბრიდან  
გამოდის ორგანოს,  
საგზაბათს, ოთხგზაბათს,  
ხუთგზაბათს,  
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ჳომცხვრია  
დირექტორი ბიორბი ოქრომჭაქალიძე  
რედაქტორი თამაზ მიბრიაული  
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორაიშვილი  
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბაღაძე  
ქართული ფეხბურთის რედაქტორი: დავით ერამე დავით თავართ-ქილაძე  
კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე  
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნა-შვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაქიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი შირაშვილი  
ინფორმაციის რედაქტორი: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მალაქელიძე, ირაკლი პერტაია  
ფოტორეპორტიორები: გურამ დოღუნჯაშვილი, ბადრი კეთილაძე  
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი  
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუნუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალისხელი, მგდა დოგ-რაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ვიშკარიანი

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.  
საფოსტო მისამართი:  
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 79  
ელექტრონული ფოსტა sarbieli@rjil.ge  
ელექტრონული ვებ-საიტი http://www.sarbieli.com.ge